Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.04

ღია საჯარო სივრცეების ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის კეთილდღეობა: ინდუსტრიული დიზაინერების როლი ინკლუზიური ურბანული გარემოს ფორმირებაში

მარიამ ბოჭორიშვილი

დოქტორანტი, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 599577121, mbotchorishvili@yahoo.com

რეზიუმე

თანამედროვე ურბანული დაგეგმარება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობ ღია საჯარო სივრცეების ხელმისაწვდომობას. Urban Agenda 2030 და Urban Health Rome Declaration-ის მიხედვით, ქალაქების განვითარება უნდა ეფუძნებოდეს ინკლუზიურობას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

სტატიაში განხილულია ღია საჯარო სივრცეების ხელმისაწვდომობა, როგორც ურბანული ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გამოკვეთილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების როლი ურბანული გარემოს გაუმჯობესებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინდუსტრიული დიზაინერების ჩართულობას, რომლებიც ქმნიან ადამიანზე ორიენტირებულ ელემენტებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სივრცის ფუნქციონირებასა და ხელმისაწვდომობაზე.

სტატია ასაბუთებს, რომ ინდუსტრიული დიზაინერების ჩართულობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ურბანული სივრცეების ფორმირების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ღია საჯარო სივრცეები, ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის კეთილდღეობა, ინდუსტრიული დიზაინის, ურბანული ჯანმრთელობა, ინკლუზიური დიზაინი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ურბანული დაგეგმარების პრინციპები მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქში ღია საჯარო სივრცეების არსებობას, რადგან იგი ხელს უწყობს მოსახლეობის

კეთილდღეობას. Urban Agenda 2030-ის მიხედვით, ქალაქების დაგეგმვისა და განვითარების პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობას, თანასწორობასა და ყველასთვის ხელმისაწვდომობას. (Sennet, 2018)

ღია საჯარო სივრცეების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. უსაფრთხო, კომფორტული, და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალიზაციისა და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის. საჯარო სივრცის ხელმისაწვდომობა განპირობებულია ინკლუზიური დიზაინის პრინციპების ზედმიწევნითი შესრულებით, რაც ამცირებს ფიზიკურ და სოციალურ ბარიერებს და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა წარმოადგენს ურბანული ჯანმრთელობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

რომის დეკლარაციის მიხედვით Urban Health Rome Declaration-ით შემუშავდა ახალი ურბანული პოლიტიკა, რომელიც ცნობილია, როგორც ურბანული ჯანმრთელობა და ითვალისწინებს ურბანული დაგეგმარების ახალ მიდგომებსა და აერთიანებს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის ინკლუზიურ დიზაინს. (WHO, 2017)

სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირად ვხვდებით ინდუსტრიული დიზაინერების ჩართულობას ურბანული სივრცეების დაგეგმვის პროცესში, რის შედეგადაც ვხვდებით რიგ პრობლემას ღია ურბანულ სივრცეებში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ურბანული ცხოვრების ხარისხს.

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ინდუსტრიული დიზაინერების როლი ღია საჯარო სივრცეების დაგეგმვისა და გაუმჯობესების პროცესში. წარმოჩნდეს მათი ჩართულობის აუცილებლობა განსაკუთრებით ინკლუზიური დიზაინის მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია ყველა ტიპის ინდივიდის კეთილდღეობაზე.

ძირითადი ნაწილი:

თანასწორობის პოლიტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია თანამედროვე ურბანული დაგეგმარებისთვის. თანასწორობის პოლიტიკა პირველ რიგში, გულისხმობს ყველასთვის ხელმისაწვდომი სივრცის შექმნის შესაძლებლობას.

საჯარო სივრცე დაკარგავს თავის ფუნქციას, თუკი იგი ვერ დააკმაყოფილებს ინკლუზიური დიზაინის მთავარ პრინციპს და ვერ იქნება ხელმისაწვდომი თითოეული მოსახლისთვის.

უნივერსალური დიზაინის პრინციპები გულისხმობს ისეთი გარემოს, ელემენტებისა და სივრცითი გადაწყვეტილების შექმნას, რომელიც განკუთვნილია ყველა ჯგუფის ადამიანისთვის, მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა და განსახვავებული საჭიროებების მიუხედავად. ღია საჯარო სივრცეებში მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი გარემო,

რომელიც გათვლილი იქნება როგორც მხედველობადაქვეითებული მოსახლისთვის, ისე ხელჯოხის მატარებლისა და ინვალიდის ეტლის მომხმარებელ ადამიანთათვის.

ამგვარი მიდგომა მოითხოვს არამარტო ურბანისტებისა და არქიტექტორების ჩართულობას, არამედ ინდუსტრიული დიზაინერების აქტიურ მუშაობას ღია საჯარო სივრცეების ფორმირების პროცესში.

ურბანული ავეჯი, განათების სისტემები, საინფორმაციო და სანავიგაციო საშუალებები და სხვა ინფრასტრუქტურული ელემენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსაფრთხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნაში, რომლის შექმნასაც სწორედ ინდუსტრიული დიზაინერები უზრუნველყოფენ, რადგან სწორედ ისინი ქმნიან ადამიანზე ორიენტირებულ პროდუქტებსა და ელემენტებს. (Edward Steinfeld, 2018) (Edward Steinfeld J. L.)

ინდუსტრიული დიზაინერის ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებლის გამოცდილებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების შემუშავებისას. საჯარო სივრცის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია მრავალი ასპექტის გათვალისწინება. სივრცის თითოეული ელემენტი უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა მისი ერგონომიული მახასიათებლები, ფუნქციურობა და სოციალური საჭიროებები. სწორედ ინდუსტრიული დიზაინერის ქმნიან მრავალ სხვადასხვა ინკლუზიური დიზაინის ელემენტს. რომელიც იქმნება სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები. სხვადასხვა კვლევის საფუძველზე ხდება დიზაინ გადაწყვეტები. ეს კვლევები ძირითად ეხება ერგონომიკას, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას. ინტეგრირებული კვლევის საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა პროდუქტის შექმნა, რაც შემდგომ უზრუნველყოფს კომფორტული და უსაფრთხო გარემოს ფორმირებას.

ამრიგად, ინდუსტრიული დიზაინერების ჩართულობა ღია საჯარო სივრცეების დაგეგმვის პროცესში წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას, ადამიანზე ორიენტირებული და ინკლუზიური გარემოს ფორმირებაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

დასკვნა: ურბანული დაგეგმარების პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ქუჩის მასშტაბი, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს ღია საჯარო სივრცეების ფუნქციონირების ხარისხს. ქუჩის მასშტაბზე დაგეგმარების შემდგომ, ყურადღება გადადის უფრო დეტალურ, ადამიანის მასშტაბზე, სადაც იქმნება ის ელემენტები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს ურბანული გარემოს გამოყენებადობას, ხელმისაწვდომობას, კომფორტსა და უსაფრთხოებას.

სწორედ ადამიანის მასშტაბისა და დეტალების დონეზე მუშაობენ ინდუსტრიული დიზაინერები, რომელთა წვლილი ხშირად შეუმჩნეველი რჩება და სათანადოდ არ აღიქმება, როდესაც ფასდება ურბანული სივრცის ხელმისაწვდომობის ხარისხი. თუმცა აუცილებელია, რომ ხაზი გაესვას მათ ჩართულობასა და როლს ურბანული სივრცეების

სწორი განვითარების პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ მათი ჩართულობა თამაშობს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ადამიანზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

Edward Steinfeld, J. L. (2018). *Inclusive Design.*

Edward Steinfeld, J. L. (თ. გ.). *Universal Design. Creating Inclusive.* 2012.

Sennet, R. (2018). *Costruire e abitare.* Feltrinelli.

WHO. (2017). მოპოვებული WHO.int: https://www.who.int/europe/news/item/18-01-2018-urban-health-rome-declaration-adopted-at-health-in-the-cities

Accessibility of Open Public Spaces and the Well-being of the Population: The Role of Industrial Designers in the Formation of an Inclusive Urban Environment

Mariam Botchorishvili

PHD candidate Faculty of Architecture, Urbanistics and Design, Georgian Technical University, 599577121, mbotchorishvili@yahoo.com

Abstract

Contemporary Urban Planning increasingly emphasizes the importance of open public spaces for human well-being. According to Urban Agenda 2030 and Urban Health Rome declaration, Urban Development should be based on inclusivity, accessibility, and the promotion of health.

This article examines the accessibility of open public spaces as a key component of Urban Health and highlights the role of Universal Design principles in reducing physical and social barriers. Attention is given to the role of Industrial Designers, whose contribution is often overlooked despite their significant impact on the functionality, comfort, and usability of urban environments.

The study argues that the active involvement of industrial designer is essential for creating inclusive, human-centered spaces that enhance overall well-being.

Key words: Open Public Space, accessibility, Urban Well-being, Industrial Designers, Inclusive Designers